



ENPARD: A European Union Programme supporting Agriculture and Rural Development



სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო



სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ტრენინგ პროგრამის შემდგომი ინსტიტუციონალიზაცია

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს გაძლიერება

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის (ENPARD)

Europe Aid/136454/DH/SER/GE

პროექტს ახორციელებენ:



EVOLUXER S.L.
International Consulting



sarga

AVENSA

ექსპერტი:

კახაბერ ერაძე

2017 წლის ივლისი

შენიშვნა:

„აღნიშნული ანგარიში მომზადდა ევროკომისიის ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის კონსულტანტს და არ ასახავს ევროკავშირის ოფიციალურ შეხედულებებს.“

კონტექსტი:

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაში (2015-2020) გაწერილ პრიორიტეტებზე დაყრდნობით, კერძოდ:

3.1.2 პროფესიული სწავლების ხარისხისა და უმაღლესი განათლების გაუმჯობესების ხელშეწყობა აგრარულ სექტორში.

3.1.6 სასოფლო-სამეურნეო დარგში კოოპერაციის განვითარების მხარდაჭერა;

2016 წელს, კომპანია Evoluxer-მა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სააგენტოსთან თანამშრომლობით და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გაძლიერებაზე მიმართული პროგრამა, რომლის გარგლებშიც მომზადდა სპეციალური სატრენინგო მოდულები ჯერ ტრენერთა მოსამზადებლად, ხოლო შემდგომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მენეჯერთა ცოდნის ასამაღლებლად. პროექტით მთელი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები გადამზადდნენ და დღეს მათთვის სიახლეს აღარ წარმოადგენს საკითხები, როგორცაა:

- კოოპერაციის საფუძვლები;
- კოოპერაციის ფუნდამენტური პრინციპები;
- კოოპერატივების მარეგულირებელი იურიდიული საკითხები, რაც უნდა აღინიშნოს, რომ კლასიკურად არ ჰგავს არც შპს-ს და არც სხვა სახის კოოპერატივებისას.
- კოოპერატივის მართვა, აუდიტი;
- ბიზნესის დაგეგმვა და ბიზნეს გეგმის წერა

აღნიშნული პროექტის წარმატებული შედეგები აუცილებლად უნდა იქნას შენარჩუნებული, და იმავდროულად, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა გაგრძელდეს სასოფლო-სამეურნეო პროფილის მქონე სასწავლებლებთან თანამშრომლობით, სადაც ქვეყნის ახალგაზრდა თაობას საინტერესო მეთოდოლოგიით და ამომწურავად მიეწოდება ინფორმაცია კონკრეტულად სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ. ამ მიზნით დაიგეგმა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებთან დაკავშირებული სასწავლო მოდულის შემუშავება, რომელიც უნდა გახდეს ფორმალური განათლების ნაწილი სოფლის მეურნეობის მიმართულების საკვალიფიკაციო პროგრამებში.

მიზნობრივი ჯგუფები და ჩართული მხარეები:

სამუშაოს შედეგების ბენეფიციარები არიან:

- სასოფლო სამეურნეო მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები;
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- სასოფლო სამეურნეო კოოპერატივები;
- სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო;

სამუშაოს შესრულებაში ჩართულნი იყვნენ:

- პროფესიული განათლების მასწავლებლები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები;
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
- დარგის ექსპერტები.

დავალების მიზანი და ჩარჩო:

დავალების მიზანი იყო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით შექნილიყო მოდული სასოფლო სამეურნეო კოოპერატივებთან დაკავშირებით, რომელიც დაეყრდნობოდა პროგრამის ფარგლებში უკვე შექმნილ მოდულებს.

მოდულის პროექტი განხილული უნდა ყოფილიყო დაინტერესებულ მხარეებთან, ხოლო საბოლოო შეჯერების შემდეგ ოფიციალურად ყოფილიყო წარდგენილი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში შემდგომი პროცედურების გასატარებლად და დასამტკიცებლად.

მიდგომა და მეთოდოლოგია:

მოდულის შესამუშავებლად მოხდა შემდეგი მოდულების შესწავლა:

- კოოპერაციის საფუძვლები;
- კოოპერაციის ფუნდამენტური პრინციპები;
- კოოპერატივების მარეგულირებელი იურიდიული საკითხები;
- კოოპერატივის მართვა, აუდიტი;

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დონეების აღმწერების გამოყენებით განისაზღვრა იმ საკითხთა და კომპეტენციათა ნუსხა რომლის მიღწევაც შესაძლებელი იქნებოდა განათლების მესამე საფეხურის ფარგლებში, რაც საშუალებას მოგვცემდა მოდული ინტეგრირდეს ყველა საფეხურის პროფესიული საკვალიფიკაციო პროგრამების ფარგლებში და დაძლევადი იყოს პროფესიული სტუდენტებისათვის.

შემუშავდა მოდულის პროექტი სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს #733 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის შესაბამისად განსაზღვრული მეთოდოლოგიის გამოყენებით;

მოხდა მოდულის პროექტის გაგზავნა პროვაიდერებისათვის, მათი კომენტარების მიღების შემდეგ ცელკეული წინადადებების გათვალისწინება. 2017 წლის 9 ივნისს მოეწყო მოდულის საჯარო განხილვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, რომელსაც დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები ესწრებოდნენ რის შემდეგაც განხორციელდა საბოლოო პროექტის ჩამოყალიბება.

<http://enpard.ge/en/enpard-partner-organisation-evoluxer-presents-institutionalization-education-training-program-agricultural-cooperatives/>

<http://eqe.gov.ge/geo/news/show/53/1601>

მოდულის წარდგენა დასამტკიცებლად:

დამოუკიდებელი მოდულის ინიცირების რეგულაციების შესაბამისად, დარგის ექსპერტის ჩართულობით მომზდდა სათანადო დასაბუთება მოდულის დამტკიცების თაობაზე, რომელიც მოიცავს მითითებას იმ სამართლებრივ ნორმებზე, რომელიც საფუძვლად დაედო მოდულის შემუშავებას და ინიცირებას.

მოდულის პროექტი, თანდართული დოკუმენტაციით და დასაბუთებით წარდგენილი იქნა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში დასამტკიცებლად.

დანართები:

1. მოდულის შემუშავების მეთოდოლოგია;
2. მოდულის საჯარო პრეზენტაციაზე დამსწრეთა რეგისტრაციის ფორმები;
3. საჯარო პრეზენტაციაზე გამოყენებული პრეზენტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე;
4. მოდულის პროექტი;
5. მოდულის ანოტაცია ინგლისურად;
6. ცენტრში გაგზავნილი წერილის ტექსტი, მოდულის ინიცირების შესახებ.